დანართი N1

"ახალგაზრდული ინიციატივების" ფარგლებში კონკურსის ჩატარებისა და დროებითი კომისიის მუშაობის დებულება

1. ზოგადი დებულებანი

1.1წინამდებარე დებულება განსაზღვრავს კონკურსის „ახალგაზრდული ინიციატივების“ ჩატარების წესსა და პირობებს, შეფასების კრიტერიუმებსა და ადმინისტრაციული უზრუნველყოფის საკითხებს.

1.2 კონკურსის ორგანიზატორია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია.

1.3 კონკურსის ჩატარებაზე პასუხისმგებელია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს:

1.3.1. მონაწილეთა ინფორმირებას;

1.3.2. კონკურსის ჩატარების საორგანიზაციო საკითხების მოგვარებას;

1.3.3. კონკურსის ჩატარების ხელშეწყობას;

1.3.4. დროებითი კომისიის მდივანთან ერთად ამოწმებს პროექტების წინამდებარე დებულებასთან შესაბამისობას და კომისიას განსახილველად წარუდგენს და განიხილავს.

1.4 კონკურსი ტარდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მასშტაბით;

1.5 კონკურსი ითვალისწინებს ახალგაზრდების, ახალგაზრდული საბჭოსა და ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფების მიერ ინიცირებული პროექტების მხარდაჭერას.

1.6 პროექტის საერთო თანხა შეადგენს 20 000 (ოცდათასი) ლარს.

2. კონკურსის მიზანი

2.1 კონკურსის მიზანია ახალგაზრდების იდეების, შემოქმედებითობისა და შესაძლებლობების რეალიზება.

2.2 საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა.

2.3 ახალგაზრდობის სფეროში ინიციატივების წახალისება, ახალგაზრდების პოტენციალის რეალიზებისა და მათი უნარების განვითარების ხელშეწყობა.

2.4 ახალგაზრდებში მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლება.

2.5 ახალგაზრდებსა და თვითმმართველობას შორის ეფექტური კომუნიკაციის დამყარება.

3.ახალგაზრდული კონკურსის ჩატარების პირობები და მოთხოვნები

3.1 კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 14-დან 29 წლამდე ახალგაზრდებს, ასევე, ახალგაზრდულ საინიციატივო ჯგუფებს და ახალგაზრდულ საბჭოს.

3.2 პროექტი უნდა განხორციელდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.

3.3 საკონკურსო განაცხადების მიღება წარმოებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის

სახელზე. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია ხორციელდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურში კომისიის მდივანთან. მდივანი უზრუნველყოფს კონკურსში მონაწილეთა საინფორმაციო ბაზის შექმნას და ინფორმაციის გაცემას. კონკურსში მონაწილეობის მსურველები ავსებენ დადგენილი ნიმუშის განაცხადს დანართი 2 -ის შესაბამისად.

3.4 კონკურსში მონაწილეს შეუძლია შეავსოს მხოლოდ ერთი განაცხადი.

3.5 საპროექტო განაცხადი შევსებული უნდა იყოს სააპლიკაციო ფორმაში მითითებული მოთხოვნათა დაცვით.

3.6 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიიდან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 5000 (ათას) ლარს.

3.7 პრიორიტეტი მიენიჭება ისეთ პროექტებს,რომელიც ასახავს საკონკურსო ინიციატივის საჭიროებას.

3.8 კომისია არ განიხილავს განაცხადს, რომელიც არ აკმაყოფილებს ამ დებულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. საკონკურსო პროექტების თემატიკა:

4.1. ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია.
4.2. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა;
4.3. მასობრივი სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა.
4.4. სპეციალური საჭიროების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერა.
4.5. გარემოს დაცვა.

5 . კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტების ნუსხა:

5.1 კონკურსში მონაწილეობის მისაღებად მერიაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) შევსებული სტანდარტული სააპლიკაციო ფორმა/განაცხადი.
ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
გ) პროექტის განხორციელების ადგილის ფლობის ან სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

5.2 დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონული ან/და ფიზიკური ფორმით;
5.3 კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია;
5.4. კომისია იტოვებს უფლებას, განმცხადებელს საჭიროების შემთხვევაში დააზუსტებინოს პროექტი.

6. კონკურსის ეტაპები

კონკურსი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

I - საკონკურსო განაცხადების მიღება ელექტრონული ან/და ფიზიკური ფორმით;
II - განაცხადების განხილვა და გადარჩევა შესაბამისი კომისიის მიერ (დებულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა);
III - ინიციატივის საჯარო პრეზენტაციის გამართვა(კომისიის მოთხოვნის შემთხვევაში);
IV - გამარჯვებული პროექტების გამოვლენა.

7. შეფასება

7 .1 პროექტების შეფასება ხდება შემდეგი კრიტერიუმებით
ა)პროექტის ინოვაციურობა და კრეატიულობა;
ბ) პროექტის დასაბუთება;
გ) პროექტის სტრუქტურა-მეთოდოლოგია,ფუნქციები, შესრულების გეგმა და სხვა;
დ) ბიუჯეტი-ხარჯთეფექტიანობა და შესაბამისობა დაგეგმილ აქტივობებთან და მიზნებთან;
ე) რელევანტურობა-რამდენად პასუხობს პროექტი მიზნებს;
ვ) პროექტის მდგრადობა და შედეგის ეფექტიანობა.
7.2 გამარჯვებულ პროექტს გამოავლენს კომისია კონკურსის საფუძველზე წევრთა ხმების უმრავლესობით.

8. კონკურსის ჩატარების ვადები.

8.1 კონკურსი ცხადდება ერთ ან ორ ეტაპად, ქვეპუნქტში „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ თანხის ათვისების შესაბამისად;
8.2. პირველ ეტაპზე განაცხადების მიღება წარმოებს 2023 წლის 08 .06 - დან ფიზიკური ან/და ელექტრონული ფორმით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განსაზღვრულ მისამართზე;
8.3 კომისია შემოსულ განცხადებებს განიხილავს და გადაწყვეტილებებს იღებს, განცხადებების მიღების ვადის გასვლიდან ერთი თვის ვადაში.

8.4 კონკურსის მე-2 ეტაპი (საჭიროების შემთხვევაში ცხადდება 2023 წლის 30.09).

9. პროექტის ხანგრძლივობა

პროექტი უნდა დასრულდეს 2023წ.

10. დროებითი კომისიის შექმნა და მუშაობის წესი

10.1 კონკურსის დებულებას და დროებითი კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერი შესაბამისი ბრძანებით;

10.2 კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის მოადგილე;

10.3 კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;

10.4 თუ ორმა ან მეტმა საკონკურსო ნამუშევარმა დააგროვა თანაბარი რაოდენობის ხმა გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა;

10.5 კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს აქვს უფლება თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება აღნიშვნა;

10.6 კომისიის გადაწყვეტილება კონკურსის შედეგებთან დაკავშირებით გამოქვეყნდება ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე და ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს ფეისბუქ გვერდზე ,გამარჯვებული პროექტების დამტკიცებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

10.7კომისიას აქვს ვალდებულება მონიტორინგი გაუწიოს დაფინანსებულ პროექტს.

10.8 კომისია წყვეტს უფლებამოსილებას პროექტის დასრულებისთანავე.

11. კონკურსში გამარჯვებული პროექტის განხორციელება

11.1 კონკურსში გამარჯვებული პროექტები უნდა განხორციელდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

11.2 პროექტში გამარჯვებულ ინიციატივას დააფინანსებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია.

11.3 ანგარიშის წარდგენა პროექტთან დაკავშირებით უნდა მოხდეს დანართი N2 შესაბამისად.